საქართველოსა და საბერძნეთის ეკონომიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობის ერთობლივი სამთავრობათაშორისო კომისიის მეორე სხდომის ოქმი

ქ. თბილისი 28 ოქტომბერი, 2004 წელი

საქართველოსა და საბერძნეთის ეკონომიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობის ერთობლივი სამთავრობათაშორისო კომისიის მეორე სხდომა გაიმართა ქ. თბილისში 2004 წლის 28 ოქტომბერს, ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დებულებების თანახმად, რომელსაც ორმა ქვეყანამ 1995 წელს მოაწერა ხელი.

საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა ევროინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ქ-ნი თამარ ბერუჩაშვილი.

საბერძნეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საბერძნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ-ნი ევრიპიდის სტილიანიდისი.

ორივე დელეგაციის მონაწილეთა სია და სხდომის დღის წესრიგი თან ერთვის ოქმს, როგორც დანართი **I** და **II**.

კომისიის შეხვედრა წარიმართა ურთიერთგაგებისა და ტრადიციული მეგობრობის ატმოსფეროში.

დღის წესრიგის საკითხების თანახმად, ორმა მხარემ გამოყო შემდეგი საკითხები.

მხარეებმა მიმოიხილეს ორმხრივი სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის არსებული მდგომარეობა და აღნიშნეს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მნიშვნელობა ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარებისათვის.

ამ მიზნით ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ათენის სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის თანამშრომლობის დიდი მნიშვნელობა.

მხარეები გამოხატეს დაინტერესება წელიწადში ერთხელ, რიგ-რიგობით საბერძნეთსა და საქართველოში ბიზნეს-ფორუმების გამართვის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე აქტიურად ითანამშრომლებენ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და ათენის სავაჭრო-სამრეწველო პალატა. პირველი ფორუმის ჩატარება დაიგეგმა მომავალი წლის იანვარში ქ. ათენში, საქართველოს პრეზიდენტის საბერძნეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში.

მხარეებმა ასევე კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ქართული მხარის მიერ მიღებული კრედიტის დაფარვის ვადის გაგრძელება ხელს შეუწყობს ორმხრივი ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. შეთანხმდა, რომ შემდგომი ნაბიჯები დაეფუძნება მხარეებს შორის უკვე მიღწეულ შეთანხმებას.

განხილულ იქნა თანამშრომლობის მდგომარეობა ისეთ პრიორიტეტულ სექტორებში, როგორებიცაა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ენერგეტიკა, საბანკო სფერო, ტრანსპორტი და კომუნიკაციები.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში საქართველოს ჩართვა თანამშრომლობის განვითარების ახალ შესაძლებლობებს ქმნის, რომელთა სრულად გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კავშირების განმტკიცებას.

როგორც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (*BSEC*) წევრებმა, მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და აღნიშნეს ამ თანამშრომლობის პოტენციალის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში გამოყენების აუცილებლობა, განსაკუთრებით ტრანსპორტის სფეროში.

ქართულმა მხარემ მადლობა მოუხადა საბერძნეთის მხარეს ბოლო წლებში გაწეული ტექნიკური და ფინანსური დახმარებისათვის, მათ შორის თავდაცვის სფეროში და განსაკუთრებით საქართველოს საზღვაო ძალების რეორგანიზაციის საქმეში. აღინიშნა, რომ 1999-2003 წლებში საბერძნეთის მიერ გაწეულმა ტექნიკურმა და ფინანსურმა დახმარებამ შეადგინა 12, 17 მილიონი ევრო, მათ შორის იყო ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარება, სტიპენდიების გამოყოფა. 2004 წელს საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარება შეადგენს 2 მილიონ ევროს. შეხვედრაზე ბერძნულმა მხარემ ასევე განაცხადა დამატებითი 300 000 ევროს გამოყოფის შესახებ.

მხარეებმა ისაუბრეს ქართველი სპეციალისტებისათვის საბერძნეთში კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებზე. ქართულმა მხარემ თხოვნით მიმართა საბერძნეთის მხარეს სემინარებისა და საქმიანი შეხვედრების განახლების შესახებ, კერძოდ, მცირე და საშუალო საწარმოების და ტურიზმის სფეროებში, რომლებსაც აწყობენ შესაბამისად საბერძნეთის მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ორგანიზაცია (*EOMMEX*) და საბერძნეთის ტურიზმის განვითარების სამინისტრო.

ჯანდაცვის სექტორთან დაკავშირებით, საბერძნეთის მხარე გამოვიდა წინადადებით, დიდი ბრიტანეთის ემბრიონის შემსწავლელ ფონდთან (Foetal Medicine Foundation) თანამშრომლობით, საქართველოში დააფუძნოს

პრენატალური შემოწმებისა და ემბრიონის კვლევის ცენტრი (Center for Prenatal Examination and Foetal Medicine).

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა საქართველოს დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრისთვის შესაბამისი სამედიცინო მოწყობილობების გადაცემის პროექტის რეალიზაციის მნიშვნელობა.

მხარეებმა ისაუბრეს ბერძნული კომპანიების პრობლემებზე, რომლებმაც ჩადეს ინვესტიციები საქართველოში. კერძოდ, OTE International, EKO-GEORGIA, RUSVAR HOLDINGS B.V., S&B Industrial Minerals S.A.. ზემოაღნიშნული კომპანიების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კომისიის მუშაობაში და გამართეს შეხვედრები ქართული მხარის შესაბამის წარმომადგენლებთან. აღინიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, ქართული მხარე გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

ქართულმა მხარემ გამოხატა კმაყოფილება Hellenic Petroleum-ის განზრახვასთან დაკავშირებით შეისწავლოს საქართველოში საქმიანობის განახლების შესაძლებლობები.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთობლივი სამთავრობათაშორისო კომისიის მესამე სხდომა გაიმართება ათენში. კონკრეტული თარიღი მხარეებს ეცნობებათ დიპლომატიური არხების საშუალებით.

ოქმი შედგენილია თბილისში, 2004 წლის 28 ოქტომბერს, ორ პირად, ინგლისურ ენაზე. ამასთან, ორივე ტექსტს აქვს თანაბარი უფლება.

საბერძნეთის რესპუბლიკის სახელით	საქართველოს სახელით
ევრიპიდის სტილიანიდისი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე	თამარ ბერუჩაშვილი სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში

ინფორმაცია საქართველო-საბერძნეთის ეკონომიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისის მე-2 სხდომის შესახებ

საქართველოსა და საბერძნეთის ეკონომიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის მეორე სხდომა გაიმართა ქ. თბილისში 2004 წლის 28 ოქტომბერს.

საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა ევროინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ქ-ნი თამარ ბერუჩაშვილი.

საბერძნეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საბერძნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ-ნი ევრიპიდის სტილიანიდისი.

შეხვედრის დასაწყისში მხარეებმა მიმოიხილეს ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის არსებული მდგომარეობა და ისაუბრეს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მნიშვნელობაზე ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარებისათვის.

მხარეებმა გამოხატეს დაინტერესება ყოველწლიურად, რიგ-რიგობით საბერძნეთსა და საქართველოში, ერთობლივი ბიზნეს-ფორუმების გამართვის თაობაზე. შეთანხმდა, რომ აღნიშნულ საკითხზე აქტიურად ითანამშრომლებენ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და ათენის სავაჭრო-სამრეწველო პალატა. პირველი ფორუმის ჩატარება დაიგეგმა მომავალი წლის იანვარში ქ. ათენში, საქართველოს პრეზიდენტის საბერძნეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში.

ქართულმა მხარემ მადლობა მოუხადა საბერძნეთის მხარეს ბოლო წლებში გაწეული ტექნიკური და ფინანსური დახმარებისათვის, მათ შორის თავდაცვის სფეროში და განსაკუთრებით საქართველოს საზღვაო ძალების რეორგანიზაციის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ 1999-2003 წლებში საბერძნეთის მიერ გაწეულმა ტექნიკურმა და ფინანსურმა დახმარებამ შეადგინა 12 170 000 ევრო, მათ შორის იყო ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარება, ასევე სტიპენდიები ქართველი სტუდენტებისთვის. საბერძნეთის მხარის ცნობით, 2004 წელს საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარება მიაღწევს 2 მილიონ ევროს. შეხვედრაზე ბერძნულმა მხარემ ასევე განაცხადა დამატებითი 300 000 ევროს გამოყოფის შესახებ.

კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული, რომ საბერძნეთის დახმარება მომავალშიც მიმართული იქნება განვითარების პროცესის ისეთი თვისობრივი ფაქტორების ხელშეწყობაზე როგორიცაა ეფექტური და დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობის დაცვა, რადგან ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების გარეშე.

ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საბერძნეთი დახმარებას გაუწევს საქართველოს, როგორც საქართველო-საბერძნეთის ორმხრივი ურთიერთობების, ასევე ევროპული საშეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის ერთობლივი პროექტების მეშვეობით.

საბერძნეთის მხარე გამოვიდა წინადადებით, დიდი ბრიტანეთის ემბრიონის შემსწავლელ ფონდთან (Foetal Medicine Foundation) თანამშრომლობით, საქართველოში დააფუძნოს პრენატალური შემოწმებისა და ემბრიონის კვლევის ცენტრი (Center for Prenatal Examination and Foetal Medicine).

შეხვედრაზე განხილულ იქნა თანამშრომლობის მდგომარეობა ისეთ პრიორიტეტულ სექტორებში, როგორებიცაა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ენერგეტიკა, საბანკო სფერო, ტრანსპორტი და კომუნიკაციები.

ენერგეტიკის სფერო

მხარეებმა გამოხატეს სურვილი განავითარონ ორმხრივი თანამშრომლობა განახლებადი ენერგიის წყაროების (ქარი, მზე, მცირე-ჰიდრო, გეოთერმული და ბიომასა) სფეროში ერთობლივი ევროპული და საერთაშორისო პროგრამების მეშვეობით. ამასთან, მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ კასპიის რეგიონიდან ნავთობისა და ბუნებრივი აირის უსაფრთხო ტრანსპორტირება მეტად მნიშვნელოვანია ევროპაში ენერგორესურსების მიწოდების დივერსიფიცირების უზრუნველსაყოფად.

ქართულმა მხარემ სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია ქვეყანაში ენერგეტიკის მარეგულირებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბება-სრულყოფის მიმართულებით მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით. ასევე აღინიშნა, რომ დაგეგმილია ახალი ლაბორატორიების დაარსება ნავთობპროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ქართულმა მხარემ გამოხატა კმაყოფილება Hellenic Petroleum-ის განზრახვასთან დაკავშირებით შეისწავლოს საქართველოში საქმიანობის განახლების შესაძლებლობები.

საბანკო სფერო

ქართულმა მხარემ მადლობა გადაიხადა საბერძნეთის კომერციული ბანკის მიერ გაერთიანებული ქართული ბანკისთვის 1996 წელს გამოყოფილი კრედიტის დაფარვის პერიოდის გაგრძელების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებისთვის. მხარეებს უკვე მიღწეული აქვთ შეთანხმება აღნიშნული ვალის ეტაპობრივი გადახდის შესახებ.

თანამშრომლობა ტრანსპორტის სფეროში

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სულ უფრო ვითარდება ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ტრანსპორტის სფეროში. თუმცა, ასევე ხაზი გაესვა ცალკეულ პრობლემატურ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც სასურველია მოხდეს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში (საუბარია საინფორმაციო ხასიათის, გზავნილების გადატანისა და დაზღვევის საკითხებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე, არალეგალური მიგრანტების გადაყვანაზე და სხვ.).

საავტობუსო მიმოსვლასთან დაკავშირებით, საბერძნეთის მხარემ ითხოვა დასახელდეს ექვსი ქართული გადამყვანი კომპანია, რომლებიც განახორციელებენ რეგულარულ საავტობუსო მიმოსვლას 2005 წელს. ხაზი გაესვა მიმდინარე წლის 12-14 მაისს საქართველო-საბერძნეთის ერთობლივი სატრანსპორტო კომისიის სხდომაზე მხარეების მიერ ხელმოწერილი ორმხრივი პროტოკოლით მიღწეული შეთანხმებების შესრულების მნიშვნელობას.

1997 წელს ხელმოწერილი საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, მხარეების მიერ სატრანსპორტო-სატვირთო გადაზიდვების სფეროში ყოველწლიურად უნდა გაცემულიყო 350-მდე უფასო ლიცენზია. 2002 წელს ქართულმა მხარემ ლიცენზიების რაოდენობა შეამცირა 350-დან 100-მდე, მაშინ როდესაც საბერძნეთის მხარემ - გაზარდა 400-მდე. აღინიშნა, რომ საქართველო-საბერძნეთის ერთობლივი სატრანსპორტო კომისიის სხდომაზე (12-14 მაისი, 2004წ. თბილისი) მხარეები შეთანხმდნენ ლიცენზიების რაოდენობის გაზრდის აუცილებლობაზე მომავალში.

საბერძნეთის მხარე დაეთანხმა ქართული მხარის თხოვნას 2005 წელს უფასო ლიცენზიების რაოდენობის 100-დან 300-მდე გაზრდის თაობაზე.

აღინიშნა, რომ აუცილებელია მხარეების შესაბამის უწყებებს შორის დიალოგს ჰქონდეს მუდმივი ხასიათი და არა ფრაგმენტული, მხოლოდ წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტის მიზნით.

ქართული მხარე გამოვიდა ინიციატივით, რათა შეიქმნას ერთობლივი სამუშაო ჯგუფი შესაბამისი მარეგულირებელი კომისიების წარმომადგენლების მონაწილეობით ტრეფიკინგის წინააღმდეგ სათანადო ღონისძიებების გატარების მიზნით.

აღინიშნა, რომ საჰაერო ტრანსპორტის სფეროში ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ხორციელდება 1996 წელს ხელმოწერილი ორმხრივი შეთანხმების დებულებების მიხედვით და ამ მიმართულებით არანაირი პრობლემა დღეისათვის არ არსებობს.

ქართული მხარე გამოვიდა საჰაერო ტრანსპორტის დარგში არსებული თანამშრომლობის შემდგომი ლიბერალიზაციის წინადადებით. აღინიშნა, რომ

სასურველია მოხდეს საჰაერო მიმოსვლების დიფერენციაცია, რათა ის არ იყოს მხოლოდ დედაქალაქებზე ორიენტირებული.

აღინიშნა საერთაშორისო სატრანსპორტო სივრცეში საქართველოს სრულყოფილი ინტეგრაციის მნიშვნელობა და ამასთან დაკავშირებით საბერძნეთის მხარეს მიეწოდა ინფორმაცია ტრანსპორტის საკითხებზე მომუშავე ეროვნული უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე მხარეებმა ყურადღება გააამახვილეს შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და აღნიშნეს ამ თანამშრომლობის პოტენციალის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში გამოყენების აუცილებლობა, განსაკუთრებით ტრანსპორტის სფეროში.

რამდენადაც საბერძნეთს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ტვირთების საზღვაო გადაზიდვის საქმეში, საბერძნეთის მხარემ გამოთქვა სურვილი საზღვაო კომპანიებთან და ასოციაციებთან ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით საბერძნეთში შეხვედრების ორგანიზების თაობაზე.

საბერძნეთის მხარე ასევე მიესალმა ერთობლივი პროექტების შექმნის იდეას ტრანსპორტის სფეროში. ბურგასი-ალექსანდროპოლისის ნავთობსადენთან დაკავშირებით ითქვა, რომ საბერძნეთი მომზრეა დაიწყოს მისი მშენებლობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამის მხარეთა პოზიციების შეჯერება. ითქვა, რომ აღნიშნული ნავთობსადენი არ იქნება საქართველოზე გამავალი ნავთობსადენების კონკურენტი და რომ მისი ამოქმედება საქართველოს ინტერესებშიც შედის.

საბერძნეთის მხარემ გამოხატა დაინტერესება სატრანსპორტო კვანძების გააქტიურებასთან დაკავშირებით, რითაც საქართველო და საბერძნეთი, აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანში, ნავთობპროდუქტების ყველაზე იაფფასიანი გადამზიდავები გახდებიან.

ტურიზმის სფერო

ქართულმა მხარემ მადლობა მოახსენა საბერძნეთის მხარეს ქართველი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გამართული ტრეინინგებისა და სემინარებისთვის. საბერძნეთის მხარეს ეთხოვა სემინარებისა და საქმიანი შეხვედრების განახლების შესაძლებლობის განხილვა, კერძოდ, მცირე და საშუალო საწარმოებისა და ტურიზმის სფეროებში (*შესაბამისად, საბერძნეთის მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ორგანიზაციის (EOMMEX) და საბერძნეთის ტურიზმის განვითარების სამინისტროს მიერ*).

აღინიშნა, რომ დღეისათვის არამხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიაშიც არ არსებობს ტურიზმის პროფესიათა სკოლა, რის გამოც ვერ ხერხდება ამ სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიის წევრებს ეცნობათ, რომ საბერძნეთის ტურიზმის მინისტრს თხოვნით მიმართა საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტმა აღნიშნულ სფეროში დახმარების გაწევის თაობაზე. აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის დეკემბერში დაგეგმილია საბერძნეთის მხარის ვიზიტი საქართველოში ზემოხსენებული საკითხების განხილვის მიზნით.

ცალკეული ბერძნული კომპანიების პრობლემებთან დაკავშირებით

მხარეებმა ისაუბრეს ბერძნული კომპანიების პრობლემებზე, რომლებმაც განახორციელეს ინვესტირება საქართველოში. კერძოდ, OTE International, EKO-GEORGIA, RUSVAR HOLDINGS B.V., S&B Industrial Minerals S.A.. კომისიის სხდომის პარალელურად ზემოაღნიშნული კომპანიების წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს ქართული მხარის კომპეტენტურ წარმომადგენლებთან.

EKO-Georgia

ნავთობის არალეგალურ ვაჭრობასთან დაკავშირებით, რაც EKO-Georgia-სა და Hellenic Petrolleum-ს არაკონკურენტუნარიან პირობებში აყენებს, ქართულმა მხარემ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საბერძნეთის მხარეს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტრაბანდის აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

RUSVAR HOLDINGS

RUSVAR HOLDINGS-ის ირგვლივ შექმნილ მდგომარეობაზე ითქვა, რომ სამწუხაროდ, ქართულ მხარეს არ გააჩნია ინფორმაცია არსებულ პრობლემებზე და რომ მოხდება მათი სათანადო შესწავლა.

საბერძნეთის მხარემ ითხოვა თბილისში საბერძნეთის საელჩოს მეშვეობით შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდება.

S&B Industrial Minerals

აღინიშნა, რომ „ASKANA", რომელიც არის S&B Industrial Minerals-ის შვილობილი კომპანია, უკვე შვიდი წელია მუშაობს საქართველოში და ამჟამად ახორციელებს ბენტონიტური თიხის საბადოს დამუშავებას ოზურგეთის რაიონში. თუმცა არსებობს სიძნელეები საბადოს დამუშავების ლიცენზიის, პრივატიზაციის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მიწაზე გადასახადის გადახდის მიმართებით. ბოლო ორი

წლის მანძილზე წარმოქმნილი პრობლემების გამო, კომპანიამ ვერ შეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სიმძლავრეებზე გასვლა.

საბერძნეთის მხარემ ითხოვა ამ კომპანიასთან დაკავშირებით შესაბამის ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს შორის კომპეტენციების სწორი დაბალანსება.

OTE International

აღინიშნა, რომ დაგროვილ პრობლემებთან დაკავშირებით კომპანიის წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ შეხვდნენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს.

შეხვედრის ბოლოს აღინიშნა, რომ ქართული მხარე ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს არსებული პრობლემების მოსაგვარებლად და რომ ამ პრობლემების მოგვარება კარგი რეკლამა იქნება საქართველოსთვის არამარტო საბერძნეთში, არამედ საერთოდ ევროპულ ბაზარზე. საბერძნეთის მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა პოზიტიური დინამიკა იმ ღონისძიებებთან მიმართებაში, რომლებიც უკვე განხორციელდა და რაც იგეგმება წარმოშობილი სირთულეების დაძლევის მიზნით.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთობლივი სამთავრობათაშორისო კომისიის მესამე სხდომა გაიმართება ათენში. კონკრეტული თარიღი მხარეებს ეცნობებათ დიპლომატიური არხების საშუალებით.

დასასრულს მხარეებმა ხელი მოაწერეს ერთობლივი კომისიის მეორე სხდომის ოქმს.